# საქართველოს სახალხო დაცველი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## N 16

28 იანვარი, 2019 წელი
ქ. თბილისი

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის „მწვანე პოლიტიკის“ დოკუმენტის დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის „მწვანე პოლიტიკის“ დოკუმენტი (დანართი #1).

2. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის წინამდებარე ბრძანების დაგზავნა დაევალოს სახალხო დამცველის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს.

3. ბრძანება ძალაში შედის 2019 წლის 4 თებერვლიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ, N6), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

*ნინო ლომჯარია*

*სახალხო დამცველი*

*დანართი* N1

დამტკიცებულია:

საქართველოს სახალხო დამცველის

2019 წლის 28 იანვრის N16 ბრძანებით

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის**

**,,მწვანე პოლიტიკის" დოკუმენტი**

**შესავალი**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის (შემდგომში - აპარატი) ,,მწვანე პოლიტიკის" დოკუმენტი (შემდგომში - პოლიტიკის დოკუმენტი) შემუშავებულია სამუშაო ადგილზე გარემოსდაცვითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

პოლიტიკის დოკუმენტის ძირითადი ამოცანაა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის წარმართვა გარემოსთან მეგობრული და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულებით. კერძოდ, სამუშაო გარემოს დაბინძურების პრევენციის, რესურსების ეკონომიურად გამოყენების და ზოგადად, გარემოსდაცვითი ღონისძიებების ხელშეწყობის ღონისძიებებით.

საქართველოს სახალხო დამცველის მწვანე პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- არსებულ კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- აპარატის საქმიანობის რეგულარული შეფასება გარემოზე ზეგავლენის მიმართულებით;
- აპარატის თანამშრომელთა ჩართულობის და მათი ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა;
- რესურსების გამოყენების მინიმალიზაცია (წყალი, ელექტრო ენერგია, მატერიალური რესურსები და სხვა).

**პოლიტიკის დოკუმენტის ძირითადი მოთხოვნები**

აპარატში გარემოსდაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა დამოკიდებულია თანამშრომელთა ქმედებებზე, რომლებმაც, მიზანშეწონილია, საქმიანობისას დაიცვან შემდეგი ძირითადი მოთხოვნები:

**ა) ენერგიის დაზოგვა**

- გამორთონ განათება, როდესაც ელექტროენერგიის გამოყენება არ არის საჭირო და მაქსიმალურად გაიზარდოს ბუნებრივი განათების გამოყენება;
- ელექტრო ქსელიდან გამორთონ ტექნიკა არასამუშაო საათებისა და დღეების განმავლობაში;
- ავეჯით არ დაბლოკონ გამათბობელი ხელსაწყოები, რადიატორები;
- ლიფტის ნაცვლად გამოიყენონ კიბეები, როცა შესაძლებელია.

**ბ) მასალების გამოყენება**

- გამოიყენონ დოკუმენტების ელექტრონული ვერსია მატერიალურად ამობეჭდილის ნაცვლად;
- ამობეჭდვამდე გადახედონ დოკუმენტს და საჭიროების შემთხვევაში, ელექტრონულ ვერსიაში შეიტანონ შესწორებები, ცვლილებები;
- ამობეჭდვისას ყოველთვის ეკრანზე შეამოწმონ შეცდომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მრავალჯერადი ბეჭდვა;
- ამობეჭდონ დოკუმენტის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ნამდვილად ესაჭიროებათ (და არა მთლიანი დოკუმენტი);
- საბეჭდად გამოიყენონ ფურცლის ორივე გვერდი და მოუწოდონ კოლეგებს, რომ მათთვის დოკუმენტის ამგვარი ფორმაა მოსახერხებელი;
- შეამცირონ ნაბეჭდი მასალის მასშტაბი ან/და გაზარდონ ქაღალდის საზღვრები და ამ სახით დაბეჭდონ მასალა;
- კოლეგებისათვის ინფორმაციის გაზიარებისას გამოიყენონ დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიები;
- გამოიყენონ ძველი დოკუმენტების მეორე მხარე ბეჭდვისა და ჩანაწერებისთვის;
- მაკულატურის განადგურების მიზნით, გამოიყენონ გადამუშავების ყუთი და ნარჩენები გადასცენ აპარატის შესაბამის თანამშრომელს;
- არ გადაყარონ გამოყენებული ბაინდერები, საქაღალდეები, მუყაოს ყუთები და ა.შ. გადასცენ ისინი აპარატის იმ თანამშრომელს, რომელიც პასუხისმგებელია მაკულატურის შეგროვებაზე;
- საჭიროების გათვალისწინებით, მინიმუმამდე დაიყვანონ სამსახურებრივი ავტომობილით გადაადგილება.

**გ) ნარჩენების შემცირება და გადამუშავება (რეციკლირება)**

- მინიმუმამდე დაიყვანონ ერთჯერადი ჭიქების, თეფშების, დანა-ჩანგლის და პოლიეთილენს მასალისაგან დამზადებული სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების გამოყენება;
- გაზარდონ ენერგო ეფექტური ნათურების გამოყენება;
- თანამშრომელთა ჩართულობით ისეთი ღონისძიებების ორგანიზება, როგორიცაა გარემოს დასუფთავება, მცენარეების/ნერგების დარგვა და ა.შ.

- ხელი შეუწყონ პოლიეთილენის და პლასტიკატისგან დამზადებული ნივთების მოხმარების მინიმუმამდე დაყვანას;
- ცნობიერების ამაღლების მიზნით, თანამშრომელთა ჩართულობით, გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე სემინარების ორგანიზება დაინტერესებული პირებისათვის/მხარეებისათვის.

**დ) აპარატი ვალდებულია უზრუნველყოფს**

- სამსახურებრივი ელ. ფოსტის პირადი რეკვიზიტების ველს დაამატოს წარწერა:

,,დაფიქრდი, ვიდრე დაბეჭდავ, დაიცავი გარემო

ან